ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №258/1

ქ. თბილისი „25“ „დეკემბერი“ 2015 წელი

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები

1.1. ერთი მხრივ, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, შემდგომში „შემსყიდველი“, მინისტრის მოადგილის ვალერი კვარაცხელიას სახით, და მეორე მხრივ ს.ს. „გუდვილი“, გენერალური დირექტორის გიორგი ხაბაშვილის სახით, შემდგომში „მიმწოდებელი“.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. შემსყიდველმა განახორციელა გამარტივებული შესყიდვა სამინისტროს ცენტრალური აპარატის 2015 წლის ასიგნებების ფარგლებში, პირადი ჰიგიენის საშუალების შესყიდვაზე (კლასიფიკატორის კოდი 33700000) და მიმწოდებელმა აიღო ვალდებულება მიაწოდოს შემსყიდველს აღნიშნული საქონელი 89.50 (ოთხმოცდაცხრა ლარი და ორმოცდაათი თეთრი) ლარად (შემდგომში „ხელშეკრულების ფასი“).

3. შესყიდვის ობიექტის მახასიათებლები
3.1.

საქონლის დასახელება	რაოდენობა	ერთ. ფასი	მთლიანი ფასი
SELPAK-პირსახოცი 6*4ც 3 ფენა	10 ცალი	8,95 ლარი	89.50 ლარი
		სულ ჯამი:	89.50 ლარი

4. საქონლის მიწოდების პირობები

4.1. ვადები:
4.1. საქონლის მიწოდება განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან – 2015 წლის 30 დეკემბრამდე.

4.2. მიწოდების ადგილი:

ქ. თბილისი, ფარნავაზ მეფის გამზირი №1.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება განხორციელდება ერთჯერადად წინამდებარე ხელშეკრულების 14.1 პუნქტით განსაზღვრული ხელშეკრულების შესრულების კონტროლის გამახორციელებელი კოორდინატორის მიერ შედგენილი ინსპექტირების აქტის საფუძველზე, რაზეც გაფორმდება შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტი (დანართი 1) სამ ეგზემპლარად.

6. ანგარიშსწორების პირობები

6.1. ანგარიშსწორების ფორმა იქნება უნაღდო ანგარიშსწორება ლარში.
6.2. ანაზღაურება იწარმოებს საქონლის მიწოდების შემდეგ, მიღება-ჩაბარების აქტის (დანართი №1) და მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი ფინანსური დოკუმენტების საფუძველზე, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არა უგვიანეს 15 კალენდარული დღის განმავლობაში.

7. მხარეთა ვალდებულებები

7.1. „მიმწოდებელი" ვალდებულია:
7.1.1. უზრუნველყოს „შემსყიდველისათვის" საქონლის მიწოდება ხელშეკრულების პირობების შესაბამისად;
7.1.2. უზრუნველყოს გამოვლენილი დეფექტებისა და ნაკლოვანების აღმოფხვრა საკუთარი ხარჯით.
7.2. „შემსყიდველი" ვალდებულია:
7.2.1. უზრუნველყოს „მიმწოდებლის" დაფინანსება ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.
7.2.2. დროულად განიხილოს „მიმწოდებლის" მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან

8. მხარეთა უფლებები

8.1. „მიმწოდებელს" უფლება აქვს:
8.1.1. ხელშეკრულების ფარგლებში მოითხოვოს დროული და სრული დაფინანსება.
8.2. „შემსყიდველს" უფლება აქვს:
8.2.1. აწარმოოს მოწოდებული საქონლის ხარისხის და რაოდენობის კონტროლი;
8.2.2. საჭიროების შემთხვევაში ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება, რის შესახებაც წინასწარ წერილობით უნდა აცნობოს "მიმწოდებელს".

9. ფორს-მაჟორი

9.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.
9.2. ამ ხელშეკრულების მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და სხვა.
9.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

10. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა

10.1. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წინასწარ წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს შემსყიდველი

არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.
10.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დამატებითი შეთანხმების სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.
10.3 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

11. სადაო საკითხების გადაწყვეტა

11.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა პირდაპირი მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების პირობებთან დაკავშირებით.
11.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 10 (ათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს საერთო სასამართლოს, თუ ხელშეკრულების პირობებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

12 ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

12.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის გზით.

13. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

13.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან შესრულების ვადების გადაცდენის შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ გადაცილებულ დღეზე გაანგარიშებით შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.
13.2. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

14. ინსპექტირების პირობები

14.1. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს კოორდინატორი, სამინისტროს ადმინისტრაციული დეპარტამენტის მატერიალური უზრუნველყოფის სამმართველოს შტატგარეშე მუშაკი ნატალია დათუნაშვილი.

15. ხელშეკრულების შეწყვეტა.

15.1 შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულების შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.
15.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებისაგან.
15.3. ხელშეკრულება აგრეთვე შეიძლება შეწყდეს მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

16. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

16.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე.
16.2. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება 2016 წლის 31 იანვრამდე.

17. განსაკუთრებული პირობები

17.1. ხელშეკრულება შედგენილია 3 ეგზემპლარად (4 გვერდზე) და თითოეულ მათგანს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს.
17.2. ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი ინახება "მიმწოდებელთან", ორი – "შემსყიდველთან".

„შემსყიდველი"

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და
სოციალური დაცვის სამინისტრო
ქ. თბილისი, წერეთლის გამზ. №144
ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური
საიდენტიფიკაციო კოდი 211333957

ვალერი კვარაცხელია
მინისტრის მოადგილე

„მიმწოდებელი"

ს.ს. „გუდვილი"
ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. №9
სს „თი ბი სი" ბანკი
ქ. თბილისის 7 სერვის ცენტრი გუდვილ
კოდი № TBCBGE22
ა/ა GE61TB3615336020100004
ს/კ №206343991

გიორგი ხაბაშვილი
გენერალური დირექტორი

ვიზა: ი. ბიბილაშვილი
გ. კაკუშაძე
ი. აბრამიშვილი
მ. თავთეთრიშვილი
ი. გვასალია
ნ. დათუნაშვილი

შემსრულებელი: ბ. შუშიაშვილი

ხ ე ლ წ ე რ ი ლ ი

ქ. თბილისი „25" „12" 2015 წელი

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი, ვადასტურებთ, რომ ს.ს. „გუდვილი"-ს მიმართ, სრულად ვაკმაყოფილებთ "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლით დადგენილ, ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების პირობებსა და წესებს.

ვ. კვარაცხელია

ი. ბიბილაშვილი

გ. კაკუშაძე

ი. აბრამიშვილი

ნ. დათუნაშვილი

ბ. შუშიაშვილი